ქ. თბილისი, კალაუბნის ქუჩა #15, ნაკვეთზე ს/კ. #01.19.20.024.006 სავაჭრო ცენტრის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების კალენდარული გრაფიკი ცალკეული ეტაპების მიხედვით

სამუშაოთა ხანგრძლივობა 6 თვე ანუ 360 სამუშაო დღე

ეტაპები	მშენებლობის განხორციელების რიგები და ეტაპები	სამუშაო დღეები	თვეები და სამუშაო დღეები																	
			I თვე			II თვე			III თვე			IV თვე			V თვე			VI თვე		
			10	20	30	40	50	60	70	80	90	100	110	120	130	140	150	160	170	180
	I რიგის სამუშაოები																			
I	შენობის სარეკონსტრუქციო სივრცეების მომზადება/ მოწესრიგება საინფორმაციო - გამაფრთხილებელი ბანერების გაკვრა;	20	20																	
II	სარეკონსტრუქციო შენობაზე პროექტით გათვალისწინებული ცალკეული ელემენტების დაშლა.	30				30														
	II რიგის სამუშაოები																			
III	მიწის სამუშაოები; საძირკველების მოწყობა; ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე და ნულოვანი ნიშნულის ზევით.	70									70									
IV	არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა; საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა; გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები.	50															50			
V	სამშენებლო ნაგვისა და ნარჩენების გატანა	30																	30	

1. წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკით გათვალისწინებულია სამუშოთა დაწყება-დასრულება, 6 თვის პერიოდში. თვეში 30 სამუშაო დღეა. გრაფიკში აღნიშნული 1 თვე შეცვალოს სამუშაოთა დამტკიცებული დაწყება-დასრულების თვეების მინიშნებით.

2. კალენდარული გრაფიკის პუნქტებში გათვალისწინებული სამუშაოები არ ნიშნავს მათ დღეებში გაჭიანურებას, მონიშნულია მათი შესრულების პერიოდები შეყოვნებების გათვალისწინებით.

3. მშენებლობის ხანგრძლივობა მიღებულია 6 თვის პერიოდით, 2 რიგი, 5 ეტაპი.

4. სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს შრომის, ელექტრო, ხანძარ-უსაფრთხოებისა და ბუნების დაცვითი ღონისძიებების გათვალისწინებით თანახმად საქართველოს სამშენებლო კანონმდებლობისა

შეადგინა: ნ. მურჯიკნელი

ი.მ ,,ვერიკო მახვილაძე მშენებლობის
ეკონომიკა და ორგანიზაცია''

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

ქ. თბილისი, კალაუბნის ქუჩა #15, ნაკვეთზე ს/კ. #01.19.20.024.006 სავაჭრო ცენტრის შენობის რეკონსტრუქცია

თბილისი
2026 წ.

ი.მ ,,ვერიკო მახვილაძე მშენებლობის
ეკონომიკა და ორგანიზაცია''

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

ქ. თბილისი, კალაუბნის ქუჩა #15
ნაკვეთზე ს/კ. #01.19.20.024.006 სავაჭრო ცენტრის შენობის რეკონსტრუქცია

დირექტორი ვ. მახვილაძე

პროექტის ავტორი თ. ჯანაშვილი

შეადგინა ნ. მურჯიკნელი

თბილისი
2026 წ.

სარჩევი

1.	საერთო ნაწილი	4
2.	სამშენებლო მოედნისა და სარეკონსტრუქციო ობიექტის დახასიათება.	6
3.	სამშენებლო მოედნის ორგანიზება და მოსამზადებელი სამუშაოების აღწერა;.	7
4.	ობიექტის საინჟინრო მომზადება და მითითებები სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვაზე.	8
5.	სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა.	10
6.	სამშენებლო სამუშაოების რიგითობა და ეტაპები.	11
7.	მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა	12
8.	რეკომენდირებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები.	16
9	ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები.	17
*	სამშენებლო გენგეგმა;.	18
*	კალენდარული გრაფიკი ცალკეული ეტაპების მიხედვით	19

1. საერთო ნაწილი

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო დავალება პროექტირებაზე, შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შემუშავებისას გამოყენებულ იქნა პროექტით მიღებული არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტები.

- მოთხოვნილებები მოპ-ის შედგენაზე თანახმად მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მარტის დადგენილება №255, მუხლი 18 ,,მშენებლობის ორგანიზების პროექტი'' და მუხლი 20 ,,მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგითობა და ეტაპები''.

- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #477 დადგენილებით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტი სიმაღლეზე მუშაოების უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ;

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის #361 დადგენილებით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ;

- საქართველოს მთავრობის დადგენილება N255 2019 წლის 31 მაისი ქ. თბილისი მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ;

,,სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი'' დამუშავებულია ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

სნ და წ 3.01.01-85* - ,,სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია''

სნ და წ 1.04.03-85 – ,,მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები''

სნ დ აწ III-4-80- „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში”-კრებული სამახსოვრო ქართულ ენაზე-მოქმედი სნ და წ ამონაკრები-საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა. თბ. 1987 წ.

შ. ბაქანიძე, მ.ლორთქიფანიძე, - „ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე“ ქ. თბილისი 2006წ.

სნ და წ 3.01.01-85* „სამშენებლო საქმიანობის წარმოება“

სნ და წ 3.01.01-85* „ტექნიკური უსაფრთხოება მშენებლობაში“

N361 27.05. 2014 წ. „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ ტექნიიკური რეგლამენტი“

N477 27.10. 2017 წ. „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი;

სნ და წ 3.03.01-87 –„მზიდი და შემომფარგლავი კონსტრუქციები“

სნ და წ 3.03.01-74 - ”ბურულები, ჰიდროიზოლაცია, ორთქლიზოლაცია”

სნ და წ 3.03.21-74 - “სამშენებლო კონსტრუქციების მოსაპირკეთებელი სამუშაოები”.

სნ და წ 3.04.03-85 - “კოროზიისგან სამშენებლო კონსტრუქციებისა და ნაგებობების დაცვა” ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

სნ და წ 3.01.01-85*-ის „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“ მოთხოვნის თანახმად, სამონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე, აუცილებლად უნდა დამუშავდეს სამუშაოთა წარმოების პროექტი. აკრძალულია მშენებლობის დაწყება დამტკიცებული სამუშაოთა წარმოების პროექტის გარეშე.

სამონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე დამკვეთმა აუცილებლად უნდა განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა შესაბამის უფლებამოსილებისა და გამოცდილების მქონე სუბიექტის მეშვეობით.

2. სამშენებლო მოედნისა და სარეკონსტრუქციო ობიექტის დახასიათება

2.1. მშენებლობის ორგანიზების პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, კალაუბნის ქუჩა #15-ში, შპს ,,ფრესკო რითეილ გრუპი''-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საკ. კოდით №01.19.20.024.006, ფართობით 1802,0 მ^2, საკადასტრო გეგმის ნუმერაციით №1/3 შენობაზე სარეკონსტრუქციო სამუშოების წარმართვას და მშენებლობის ორგანიზების დაგეგმვას რიგითობის და ეტაპების მიხედვით.

2.2. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილიში, სამგორის რ-ნი, მასივი III, კვVII, მე-2 და მე-16 კორპუსებს შორის (ნაკვეთი №024/006). ტერიტორიას გააჩნია ქანობი ჩრდილოეთიდან სამხრეთ მიმართულებით ნიშნულებს შორის სხვაობა 0.8-1.0მ. ნაკვეთის სამი მხრიდან ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება საავტომობილო გზა, სამხრეთის მხრიდან მონიჯნავე მიწის ნაკვეთები, მათზე განთავსებული შენობებით.ტერიტორია განეკუთვნება საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1 -ს (სსზ-1).

2.3. სარეკონსტრუქციო შენობა განრავსებულია ნაკვეთის სამხრეთ ნაწილში, სამ სართულიანია, უსარდაფო. სარეკონსტრუციო გეგმაში რთული მოხაზულობისაა, არსებული სიტუაციით მისი გაბარიტული ზომებია ,,1-9'' და ,,ა-ე'' ღერძის გასწვრივ 50,25x23,40 მეტრი. არსებული სავაჭრო ცენტრის შენობის კონსტრუქციებს წარმოადგენს რკინაბეტონის მონოლითური კარკასს, III სართულზე მოწყობილია ლითონის ფერმების სივრცული გადახურვა. კედლები შევსებულია მსუბუქი ბლოკით. ფასადებზე დომინირებს ორმაგი ფერადი მინა ალუმინის კარკასზე.

2.4. ობიექტზე უკვე არსებობს საინჟინრო კომუნიკაციები,

გამომდინარე აქედან სხვა რაიმე სახის ქსელის დამატებას არ საჭიროებს.

2.5. სახურავის სივრცეში სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია მათი ჩაჭრა საექსპლუატაციო ორგანიზაციების მეთვალყუროების ქვეშ, დადგენილი ნორმატიული და კანონმდებლობითი პირობების გათვალისწინებით, უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით.

2.6. სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით, სამონტაჟო ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანა ავტორებთან შეთანხმების გარეშე დაუშვებელია, ცვლილებები უნდა მოხდეს დადგენილი წესით, შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და დამკვეთის მიერ.

3. სამშენებლო მოედნის ორგანიზება და მოსამზადებელი სამუშაოების აღწერა;

სამშენებლო მოედანს წარმოადგენს მიმდებარე ტერიტორია, ჩასატარებელი სამუშაოები რაიმე განსაკუთრებული პირობებით არ ხასიათდება. სამუშაოების ციკლი იწყება დროებითი სამშენებლო სივრცის გამიჯვნით, სამუშაოთა მწარმოებლის ოთახის და მუშა-პერსონალის გასახდელის მოწყობით, აქ შეიძლება გამოყენებულ იქნას არსებული შენობის რომელიმე კუთხე;

სამუშაოთა წარმოებისას უცხო პირთა და იმ მუშა-პერონალის დაშვება, რომელიც არ არიან ჩართული სარეკონსტრუქციო სამუშაოებში აკრძალულია.

შემოღობილი ტერიტორიის გარდა, მასალის მიღება უნდა მოხდეს შენობაშიც. მათი მყისიერად შეზიდვა-დასაწყობებით მასალებით მომარაგება უნდა მოხდეს სამუშაოების ეტაპების მიხედვით, რათა არ მოხდეს შენობის კონსტრუქციების გადატვირთვა. ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს საშენ-მასალებათა დასაწყობებისთვის განკუთვნილი ლოკაცია, რომელიც უნდა შეზღუდოს სასიგნალო ლენტების საშუალებით, გაიკრას გამაფრთხილებელი, საინფორმაციო და ამკრძალავი ბანერები.

4 . ობიექტის საინჟინრო მომზადება და მითითებები სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვაზე

4.1. მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია ობიექტს აწყობს/ამუშავებს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. მშენებლობა უნდა განხორციელდეს საავტორო და ტექნიკური ზედამხვედველობის ქვეშ; ფარული სამუშაოების მიღება შესაბამის უფლებამოსილი პირების კონტროლის ქვეშ, დადგენილი წესით აუცილებელია. სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო დოკუმენ-ტაციის საფუძველზე

I რიგის მოსამზადებელი სამუშაოების ციკლი იწყება - სარეკონსტრუქციო სივრცის მოწესრიგებით:

1). ეზოს შესასვლელში შესაბამისი გამართხილებელი საინფორმაციო ბანერების გაკვრა; სამუშაოთა მწარმოებლის დროებითი კუთხის მოწყობა სამშენებლო მასალის დასაწყობება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით; შენობაში საინჟინრო კომუნიკაციების დროებით გადამყვანების მოწყობა;

2). სარეკონსტრუქციო შენობაზე პროექტით გათვალისწინებული ცალკეული ელემენტების დაშლა, სამშენებლო ნაგვის შეგროვება და გატანა.

II რიგის ძირითადი სარეკონსტრუქციო სამუშაოები ითვალისწინებს შემდგომ მუშა-პროცესს, კერძოდ სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს: სარერეკონსტრუქციო სამუშაოები გულისხმობს შენობის პირველ სართულზე, სასაწყობე ზონაში 7-1 ღეძების კვეთაზე არსებული სატვირთო ბაქნის უმოქმედო ღიობის გაფართოვებას და მასში სატვირთო ლიფტის მოწყობას. რეკონსტრუქციისას არ იზრდება სამშენებლო კოეფიციენტები და არ იმატებს საპროექტო ფართი.

ცალკეული სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება აუცილებელია საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობითა და მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით. **(იხ. კონსტრუქციული ნახაზები. კოსტრუქციული ელემენტების მოწყობაზე როგორც ერთზე, ასევე ყველა ელემენტზე კარგად არის მოცემული კონსტრუქციული დოკუმენტაციის სპეციფიკაციებში).**

სარეკონსტრუქციო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტით და კალენდარული გეგმით არსებულ შენობაზე გათვალისწინებულია სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოთა წარმოება ნაკადური მეთოდებით, რომელიც გულისხმობს სამშენებლო ბრიგადების გადაადგილებას შენობის ცალკეულ მონაკვეთებზე, ცხადია სამუშაოთა ფართო ფრონტით წარმოების დროს აუცილებელია სამუშაოთა შორის ტექნოლოგიური ინტერვალების დაცვა. სამუშაოთა ფართო ფრონტი საშუალებას იძლევა მუშახელის პროფესიონალური მოცდენა არ მოხდეს სხვადასხვა სამუშაო უბნებზე მათი

გადაადგილების გამო, რისი უზრუნველყოფაც ცხადია სამუშაოთა მწარმოებლის ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული.

5. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

სამუშაოების ხანგრძლივობისა და სამშენებლო სამუშაოების წარმართვის თავლსაზრისით ობიექტები - მოცულობითი და კონსტრუქციული გადაწყვეტითი სირთულის მიხედვით საშუალო მარტივი კატეგორიისაა.

სამონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობის ვადებისა და მისი განხორციელების ცალკეული პერიოდების დასადგენად ხელმძღვანელობენ სნ. და წ. 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“; ასევე დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სამონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“ კალენდარული გეგემით გათვალისწინებული ფინანსური უზრუნველყოფისა და შესაძლებლობების საფუძველზე.

სამუშაოების განხორციელების გეგმიური ხანგრძლივობა აღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, ასევე რეალური სიტუაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა სამუშაოთა წარმოების ხანგრძლივობა **T=6 თვის** პერიოდით. მისი დაცვა შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს რბილმა და ზომიერმა კლიმატურმა პირობებმა.

6. სამშენებლო სამუშაოების რიგითობა და ეტაპები

მოცემული სარეკონსტრუქციო სამუშაოები იყოფა ორ რიგად –

I რიგის სამუშაოები:

მოსამზადებელი სამუშაოები წარმოდგენილია ორ ეტაპით:

ეტაპი N1- შენობის სარეკონსტრუქციო სივრცეების მომზადება/მოწესრიგება საინფორმაციო -გამაფრთხილებელლი ბანერების გაკვრა;

ეტაპი N2 - სარეკონსტრუქციო შენობაზე პროექტით გათვალისწინებული ცალკეული ელემენტების დაშლა: **(ორივე ეტაპზე - 50 სამუშო დღე)**

II რიგის სამუშაოები:

ძირითადი სარეკონსტრუქციო სამუშაობი;

ითვალისწინებს სამი ეტაპს, რომლებშიც დაჯგუფდა ერთი შინაარსის მქონე სამუშაოები, კერძოდ:

ეტაპი N3 - მიწის სამუშაოები, საძირკველების მოწყობა, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე და ნულოვანი ნიშნულის ზევით.; (**70 სამუშო დღე)**

ეტაპი N4 არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა; მოსაპირკეთებელი სამუშაოები.'; **(50 სამუშო დღე)**

ეტაპი N5 სამშენებლო ნარჩენების გატანა **(30 სამუშო დღე)**

სულ დადგინდა ხუთი ერთეული ეტაპი - ხანგრძლივობით - 6 თვე - 180 სამუშო დღე;

კალენდარულ გეგმაზე შემოთავაზებული თანმიმდევრობა რეკომენ-

დირებული ხასიათისაა, მისი კორექტირება შესაძლებელია სამუშაოთა წარმართვის პროცესში დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებით სამშენებლო პროცესში აღმოჩენილი სხვადასხვა გარემოებებით.

*შენიშვნა – ფარული სამუშაოების ჩამონათვალი:

ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ ფარული სამუშაოების დასრულება მოხდეს შესაბამისი აქტის შედგენით, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ფარული სამუშაოების ფოტოფიქსაცია. აქტებზე ხელმომწერი მხარეები – დამკვეთი, მენარდე, ობიექტზე მიმაგრებული დამოუკიდებელი ზედამხედველი სუბიექტი;

ა) მოცემულ მშენებლობაზე ფარული სამუშაოების აქტები შედგეს შემდეგ ფარულ სამუშოებზე –

*რკ/ბეტონის სამუშაოების მოწყობაზე მის დაბეტონებამდე

*ლითონის კონსტრუქციების მოწყობაზე მის შეფუთვამდე;

აქტები იკინძება და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

ბ) მშენებლობის პროცესში სავალდებულოა ტიპიური ფორმების მიხედვით შედგეს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც აისახება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპობრივი ქმედება; ასევე უსაფრთხოებისა და ტექნიკური ზედამხედველობის ჟურნალები.

7. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

❖ უცხო პირთა, აგრეთვე სამონტაჟო ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა-მომსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე დაუშვებელია. მუშა-მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე

უსაფრთხოების ტექნიკის, სიმაღლეზე მუშაობის ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის საკითხებზე, პერიოდულად უნდა ჩატარდეს გამოცდაც.

- სამუშაოთა წარმოების უზრუნველყოფისათვის და ტექნოლოგიების უზრუნველსაყოფად ასევე აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა განმარტებით ბარათში მოცემული ცხრილის მიხედვით, მანქანა - მექანიზმებით, ინსტრუმენტებით და დანადგარებით

- მომუშავეთა შორის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო _ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე, თანახმად სნ და წ III _ 4 _ 80 (უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში) და სხვა ნორმატიულ - საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

- სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

- ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების (ასეთების არსებობის შემთხვევაში) დღიური რაოდენობა სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს იმავე დღიური რაოდენობის მოთხოვნილებების შესაბამისობას.

- მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიურ პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა

დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

- ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახსტანდარტში 12.1.0.13-88. ელექტრო კარადა უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში. ელექტრო კაბელები, ელექტრო სადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

- იკრძალება ვიბრატორის და სხვა ელექტრო მოწყობილობების ადგილიდან-ადგილზე გადატანა, მისი ელექტრო ქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოთა შესრულების შემდეგ ხელსაწყოები სუფთავდება და მშრალად იწმინდება.

- სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა (საწეველები, მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შესადუგებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია.

- ელ.მომმარაგებელი კომპანიის ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით, ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადდგურებიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენებით, საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება;

- დაუშვებელია არაქარხნული ხელსაწყოების გამოყენება. ყველა დისკოიანი ელ.ხელსწყო აღჭურვილი უნდა იყოს გარსაცმით;

- ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციის დროებითი გამაგრება. სადემონტაჟო ობიექტი უნდა იყოს განათებული ღამის საათებში.

- ყველა სარეკონსტრუქციო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

- საჭიროების შემთხვევაში ობიექტზე სამშენებლო პროცესის წარმართვისას გათვალის-წინებულ უნდა იქნას N477 27.10. 2017 წ. „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები. მშენებარე კარკასი შეიფუთოს არნიშნული რეგლამენტის მიხედვით მოაჯირებით, დამცავი ბადეებით და ა.შ. მუსა - პერსონალს პერიოდულად ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი. <u>ობიექტზე გამოყოფილი უნდა იყოს</u> <u>უსაფრთხოების ინჟინერი;</u>

- სამონტაჟო ტრანსპორტის გადაადგილებისას მოედანზე აკრძალულია საქმეში ჩაურთველ პირთა ყოფნა სახიფათო ზონებში.

- ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით (უსაფრთხოების ქამრები,რეზინის ფეხსაცმელი; რეზინის ხელთათმანები,ჩაფხუტები და სხვა). აკრძალულია ობიექტზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის, უსაფრთხოების ქამრების, რესპირატორებისა და დამცავი სათვალეების გარეშე.

- სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს სისტემური სწავლება უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში. მხოლოდ ამ სწავლებების შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე. ყოველი მომუშავე სამუშაოს

წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე,მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს, დაემორჩილოს ამკრძალავ, გამაფრთხილებელ და მიმთითებელ ნიშნებს.

- სამუშაოები უნდა წარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლის და ობიექტზე დანიშნული უსაფრთხოების ინჟინრის მეთვალყურეობით. ნაგვის გატანა უნდა განხორციელდეს სპეციალური ავტოამწეების გამოყენებით და ავტოთვითმცლელებით; ზედმეტი ნაგვის დატვირთვა უნდა იწარმოოს გვერდითა ან უკანა მხრიდან

8. რეკომენდირებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები

8.1. მშენებლობის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური სასუალებებით. მათი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში.

##	დასახელება	მარკა	რაოდენ. ცალი
1	2	3	4
1.	,,ბოლგარკის" ტიპის, ან უფრო თანამედროვე კონსტრუქციების საჭრელი მოწყობილობა	კომპლექტი	1
2.	პნევმატური ინსტრუმენტ-საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა.	კომპლექტი	2
3.	გადასატანი კომპრესორი	CO-45	1
4.	სანგრევი ჩაქუჩები	-	1
5.	ავტოგენური საჭრელი აპარატები	კომპლექტი	2
6.	თვითმცლელი, ძარიანი და სპეც-ავტოტრანსპორტი	სხვადასხვა	2
7.	ხელის ინსტრუმენტი: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპლექტი	2

8.	ქარხნული წარმოების ლითონის ხარაჩოები	მ^2	20
9.	ბეტონის საბურღ-სანგრევი ხელის აპარატი	НП-4602	2

8.2. რეკომენდირებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.

9. ბუნების დაცვა და ეკოლოგია

სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყება მოხდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ.

9.1. სამონტაჟო სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვით და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.

9.2. გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება ხეებისა და ნარგავების მოჭრა ან განადგურება.

9.3.დაუშვებელია არსებულ საკანცელიზაციო ჭებში ბეტონ-შემრევისა და ბეტონ-ტუმბოს მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით;

9.4. სარეკონსტრუქციო სამუშაოების დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ღიად გადმოყრა დაუშვებელია, სამუშაოთა წარმოებისას მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან.

საპროექტო გენგეგმა



ფორმატი PAPER SIZE		პროექტის № PROJECT #
A -3		

პირობითი ნიშნები

- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- განშენიანების რეგულირების ხაზი
- UTM სისტემის კოორდინატები
- წყალსადენი
- კანალიზაცია
- გაზსადენი
- ავტომობილების მოძრაობა
- ღერძის ხაზი

შენიშვნები NOTES

დამკვეთი CLIENT	შ.პ.ს. „ფრესკო რითეილ გრუპი“
პროექტი PROJECT	მრავალფუნქციური შენობა (საპურო-საოფისე-რესტორანი)
მისამართი ADDRESS	ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, მასივი III, კვ.VII, მე-2 და მე-16 პორუსებს შორის (ნაკვეთი №024/006)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
პრ. ავტორი	თ. ჯანაშვილი	
შემსრულა		

თინათინ ჯანაშვილი
11001005245

არქიტექტურული ნაწილი

მასშტაბი SCALE	თარიღი DATE OF ISSUE	10/01/2012
1:500	ნახაზი DRVG.	გენგეგმა საპროექტო
სტადია STAGE	ფურც. PAGES	სულ ALL
პროექტი	ა - 5	ა - 23



ფორმატი PAPER SIZE		პროექტის № PROJECT #
A - 3		

პირობითი ნიშნები

- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- განაშენიანების რეგულირების ხაზი
- ღერძის ხაზი

ექსპლიკაცია EXPLICATION

1. სავაჭრო სივრცე
2. გასაქირავებელი ფართი
3. მაღაზია
4. საგენერატორო
5. სამზარეულო
6. ხორცის დასამუშავებელი ოთახი
7. საწყობი
8. საწყობის ოპერატორი
9. გამანაწილებელი
10. ლითონის ბაქანი
11. პროდუქტების მისაღები
12. **wc**

ტექნიკური მონაცემები

I სართულის საერთო ფართი ....1124,7 მ²
(შიდა კონტურზე, ტიხრების გარეშე)

მათ შორის:

კომერციული ფართი
სავაჭრო, გასაქირავებელი, მაღაზია, WC............ 845,2 მ²

სამზარეულოს ფართი
სამზარეულო, ხორცის დამ. ოთახი..................... 83,0 მ²

საწყობის ფართი
საწყობი, ოპერატორი, გამანაწილებელი........... 111,5 მ²

დამხმარე ფართი
საგენერატორო...26,2 მ²

საზაფხულო ფართი
ბაქანი, პროდუქტების მისაღები........................... 58,8 მ²

შენიშვნები NOTES

დამკვეთი CLIENT	შ.პ.ს. „ფრესკო რითეილ გრუპი"
პროექტი PROJECT	მრავალფუნქციური შენობა (სავაჭრო-საოფისე-რესტორანი)
მისამართი ADDRESS	ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, მასივი III, კვVII, მე-2 და მე-16 კორპუსებს შორის (ნაკვეთი №024/006)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
პრ. ავტორი	თ. ჯანაშვილი	
შეასრულა		

თინათინ ჯანაშვილი
11001005245

არქიტექტურული ნაწილი

მასშტაბი SCALE	თარიღი DATE OF ISSUE 10/01/2012	
1:200	ნახაზი DRVG. I სართულის გეგმა +0,00 ნიშნულზე	
სტადია STAGE	ფურც. PAGES	სულ ALL
პროექტი	ა - 7	ა - 23

საპროექტო გეგმა



ფორმატი PAPER SIZE		პროექტის № PROJECT #
A - 3		

პირობითი ნიშნები

- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- განაშენიანების რეგულირების ხაზი
- ღერძის ხაზი

ექსპლიკაცია EXPLICATION

1. ჰოლი
2. დაცვა
3. **wc**
4. სამზარეულო
5. საშხაპე
6. გასახდელი
7. ტექნიკური ჯგუფი
8. საოპერატორო
9. კორიდორი
10. ბუღალტერია
11. სამდივნო
12. დირექტორის ოთახი
13. შეხვედრების ოთახი
14. არქივი
15. საკონსულტაციო
16. დირ.მოადგილის ოთახი
17. ღია ლოჯია
18. შიდა აივანი
19. საწყობი
20. ტექნიკური ოთახი
21. პანდუსი
22. საკომუნიკაციო არხი

ტექნიკური მონაცემები

II სართულის საერთო ფართი ....345.1 მ²
(შიდა კონტურზე, ტიხრების გარეშე)

მათ შორის:

საოფისე ფართი
ოთახები, სველი წერტილები.................................. 300,4 მ²

საზაფხულო ფართი
(ღია ლოჯია, აივანი).. 31,3 მ²

დამხმარე ფართი
(ტექნიკური ოთახი).. 13,4 მ²

შენიშვნები NOTES

დამკვეთი CLIENT	შ.პ.ს. „ფრესკო რითეილ გრუპი"
პროექტი PROJECT	მრავალფუნქციური შენობა (სავაჭრო-საოფისე-რესტორანი)
მისამართი ADDRESS	ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, მასივი III, კვVII, მე-2 და მე-16 კორპუსებს შორის (ნაკვეთი №024/006)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
პრ. ავტორი	თ. ჯანაშვილი	
შეასრულა		

თინათინ ჯანაშვილი
11001005245

არქიტექტურული ნაწილი

მაშტაბი SCALE	თარიღი DATE OF ISSUE 10/01/2012	
1:200	ნახაზი DRVG. II სართულის გეგმა +3,00 ნიშნულზე	
სტადია STAGE	ფურც. PAGES	სულ ALL
პროექტი	ა - 8	ა - 23



ფორმატი PAPER SIZE		პროექტის № PROJECT #
A - 3		

პირობითი ნიშნები

- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- განაშენიანების რეგულირების ხაზი
- ღერძის ხაზი

ექსპლიკაცია EXPLICATION

1. პანდუსი +480-დან +6,15 ნიშნულამდე
2. ღია ტერასა
3. გორდერობი
4. კაფე-ბარი
5. რესტორანი
6. შეკვეთების გამანაწილებელი
7. სამზარეულო
8. ჭურჭლის სამრეცხაო
9. კორიდორი
10. სამწვადე
11. ბარის საწყობი
12. სამზარეულოს საწყობი
13. ღია ვერანდა
14. გამანაწილებელი
15. **wc**
16. ინვენტარის საწყობი
17. გასახდელები
18. პერსონალის **wc**
19. პერსონალის საერთო ოთახი
20. ადმინისტრატორი
21. აივანი
22. წყლის სარკე
23. გამწვანება

ტექნიკური მონაცემები

III სართულის საერთო ფართი ....1042,1 მ²

მათ შორის:

კაფე-რესტორნის დარბაზების საერთო ფართი
დარბაზები, გორდერობი, საწყობი, გამან. **wc**............ 415,4 მ²

ადმინისტრაცია-სამზარეულოს ფართი
სამზარეულო. საწყობი, ოთახები, პერსონალის **wc** .... 245,0 მ²

საზაფხულო ფართი
აივანი, ღია ვერანდა.. 48.3 მ²

ღია ტერასა
ტერასა, წყლის სარკე, გამწვანება .... 333,4 მ²

შენიშვნები NOTES

დამკვეთი CLIENT	შ.პ.ს. „ფრესკო რითეილ გრუპი"	
პროექტი PROJECT	მრავალფუნქციური შენობა (სავაჭრო-საოფისე-რესტორანი)	
მისამართი ADDRESS	ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, მასივი III, კვVII, მე-2 და მე-16 კორპუსებს შორის (ნაკვეთი №024/006)	
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
პრ. ავტორი	თ. ჯანაშვილი	
შეასრულა		

თინათინ ჯანაშვილი
11001005245

არქიტექტურული ნაწილი

მასშტაბი SCALE	თარიღი DATE OF ISSUE 10/01/2012	
1:200	ნახაზი DRVG. III სართული გეგმა +6,15 ნიშნულზე	
სტადია STAGE	ფურც. PAGES	სულ ALL
პროექტი	ა - 9	ა - 23